ტყე

საშუალო დონე

2

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი
2019 წელი

ტყე

საშუალო დონე

2

ტყეს დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისთვის და ადამიანისთვის.

ტყეში წვიმის წყალი მთლიანად არ ორთქლდება - მას ხეების ფოთლები იცავს მზისგან და ქარისგან. წვიმის წყალი მიწაში ჩადის და გროვდება.

მიწის ქვეშ დაგროვებული წყლიდან მოედინება წყაროები და მდინარეები. ამიტომ სადაც ბევრი ტყეა, იქ წყალიც ბევრია.

ტყის ფოთლები ჰაერს აჯანსაღებს. თუ ტყე ახლოსაა, ჰაერი სუფთა და ჯანსაღია.

ტყეში ადამიანი შეშას ამზადებს. ადამიანი შეშით ანთებს ცეცხლს, ათბობს სახლს.

ტყე გვაძლევს ხის მასალას. ხისგან ადამიანი ამზადებს ბევრ საგანს: ნავებს, გემებს, სხვადასხვა ავეჯს: სკამებს, მაგიდებს, ტახტებს, კარადებს.

ხის მასალისგან ამზადებენ ქაღალდს, ფანქრებს, მერხებს და დაფებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს - გიტარას, პიანინოს, სალამურს.

ტყის მცენარეებს ადამიანი საკვებად იყენებს. ტყეში ადამიანები აგროვებენ წაბლს, ჟოლოს, შინდს, ასკილს, თხილს, სოკოს.

ზოგიერთ ტყის მცენარეს ადამიანი სამკურ-ნალოდ იყენებს. სამკურნალო მცენარეებია ცაცხვი, ჟოლო, მაყვალი, მრავალძარღვა.

ტყის არსებობა აუცილებელია ადამიანის-თვის. ტყეს ბევრი სიკეთე და სარგებელი მოაქვს ჩვენთვის. ტყეს უნდა მოვუაროთ!